

სარჩევი

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი - დ. ძიმციეშვილი -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის,
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

ოქმი N 2

ზუგდიდი

13 აგვისტო 2014 წ

12:00 სთ

2014 წლის 13 აგვისტოს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ედიტა კოდუა, ირუზა კაკავა, თეა თორდია, ირაკლი ქოჩუა, ელგუჯა ესართია, გიორგი ჩიქოვანი, გელა ჩილაჩავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ვ. ჯიქია, მ. ჭეჟია, გ. თოლორია, გ. სხულუხია, ბ. გაბუნია.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია. რეგისტრაციის გავლის მიხედვით, სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 13 წევრიდან 8 წევრი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა დაზმირ ძიმციეშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის

დღის წესრიგი:

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი - დ. ძიმციეშვილი -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის სხდომაზე დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დაზმირ ძიმცეიშვილის ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაზმირ ძიმცეიშვილმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურების განყოფილების უფროსებს მიმართა თხოვნით, ესაუბრათ დეტალურად მათი განყოფილების საქმიანობაზე, სტრუქტურასა და მომავლის გეგმებზე.

მაია ჩიტაიას განცხადებით, განათლების სფეროსათვის გამოყოფილი თანხები უმეტესად სკოლების რემონტებსა და მოსწავლეების ავტობუსებით მომსახურებაზე იქნა გათვალისწინებული. ასევე დაგეგმილია ამ განყოფილების ხარჯებით ახალი პროექტების განხორციელება, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია.

კულტურისა და სპორტის განყოფილებების გეგმაში სპორტულ-კულტურული ობიექტების ჩამოყალიბება შედის, რაც დიდ თანხებზეა დამოკიდებული და ამიტომაც მასზე სერიოზულ მუშაობას ვაპირებთ.

ახალგაზრდულ და გენდერული თანასწორობის განყოფილება არასამთავრობოებთან მუშაობას, გენდერთან ტრენინგების ჩატარებას, ინტელექტუალური თამაშების და შეჯიბრებების მოწყობას აპირებს.

ძეგლთა დაცვის საკითხთა განყოფილება ატარებს ძეგლების გადარჩენით სამუშაოებს, რაზეც აქვთ კიდევ გარკვეული მიღწევები.

აზრი გამოთქვას: ი. კაკავას აღნიშნა, „არასამთავრობოებთან თანამშრომლობა და გარკვეული პროექტების თანადაფინანსება საჭიროა, რადგან ისინი სოციალურად დაუცველებზე იღებენ ორიენტაციას“.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია წინა საახალწლოდ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ტკბილეულისათვის განკუთვნილმა თანხებმა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წამოჭრილ საკითხებზე და კომისიის თავმჯდომარემ მიმართა წინადადებით განყოფილების უფროსებს, ანგარიშის სახით წარმოდგინონ ბიუროს, რისთვის გაიხარჯა გამოყოფილი თანხები და როგორ აპირებენ აუთვისებელი თანხების გახარჯვას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დადგინეს: შეთანხმდნენ მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება წარმოდგენილი რედაქციით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროზე განსახილველად, შემდგომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცების მიზნით.

კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დ. ძიმციეშვილი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.